მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის პირობები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევა

 # RCREDO/LSTOCK-001/24

ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი.

დამზღვევი - მსხვილფეხა საქონლის მფლობელი ფიზიკური პირი, რომელიც აღნიშნულია დაზღვევის განაცხადში და სადაზღვევო პოლისში.

მოსარგებლე - დამზღვევი ან დაზღვეული საქონლის რეგისტრირებული მფლობელი (თუ დამზღვევი არ არის რეგისტრირებული მფლობელი), რომელიც წარმოადგენს დამზღვევის პირველი რიგის მემკვიდრეს და რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

განაცხადი - განაცხადი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობებთან ერთად სადაზღვევო პოლისის ნაწილს და რომელშიც მითითებულია მზღვეველის მაქსიმალური სადაზღვევო პასუხისმგებლობის მოცულობა, საქონლის რაოდენობა; საქონლის ასაკი; საქონლის დანიშნულება; საქონლის საიდენტიფიკაციო საყურის ნომერი, სადაზღვევო პერიოდი და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

სადაზღვევო ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით ერთ სულ საქონელზე განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ ჯამურად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ზედა ზღვარს.

სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც მითითებული არის დაზღვევის პოლისში და რომელიც უნდა გადაიხადოს დამზღვევმა სადაზღვევო მომსახურების გაწევისათვის, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის შესაბამისად.

სადაზღვევო პერიოდი - პერიოდი, რომლის განმავლობაში პოლისი ძალაშია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, შეზღუდვებისა და ლოდინის პერიოდის გათვალისწინებით. ამასთან, დაზღვევის პერიოდი ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს პოლისის გაცემიდან ერთ კალენდარულ წელს და სადაზღვევო პრემიის ოდენობა არ არის დამოკიდებული სადაზღვევო პერიოდის ხანგრძლივობაზე.

ლოდინის პერიოდი - საძოვრულ კვებაზე მყოფი საქონლისათვის სადაზღვევო პოლისის გაცემიდან 14-დღიანი უწყვეტი კალენდარული პერიოდი (სადაზღვევო რისკის ტრავმული პერიკარდიტის შემთხვევაში ლოდინის პერიოდი განისაზღვრება სადაზღვევო პოლისის გაცემიდან 28 კალენდარული დღით), ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის შემთხვევაში და ქვეყანაში ახლად იმპორტირებული საქონლის (საქონელი, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა ექსპორტიორი ქვეყნიდან, რომლის იმპორტის მომენტიდან გასულია მინიმუმ 30 კალენდარული დღე და რომელსაც გავლილი აქვს საკარანტინო კონტროლი) შემთხვევაში 28-დღიანი უწყვეტი კალენდარული პერიოდი, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო რისკის შედეგად მიყენებული ზიანი/დანაკარგი არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, ლოდინის პერიოდში მომხდარ ზარალზე დამზღვევი ვალდებულია დადგენილი ფორმით მოახდინოს მზღვეველის ინფორმირება მომხდარის თაობაზე, მიუხედავად ზარალის გამომწვევი მიზეზისა.

სადაზღვევო რისკი - წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო რისკები, რომელთა დადგომის შედეგად გამოწვეული საქონლის სიკვდილით გამოწვეული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

დაზღვევის ლოკაცია - ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის განაცხადში მითითებული ლოკაცია, რომელიც განიხილება როგორც დაზღვეული საქონლის მუდმივი სადგომი, რომელშიც განთავსებულ საქონელზე ვრცელდება სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკები.

დაზღვევის მოქმედების ტერიტორია - სადაზღვევო განაცხადში დაფიქსირებული მუნიციპალიტეტში არსებულ სოფელში მდებარე საქონლის სადგომი ან/და საქონლის მესაკუთრის საკარმიდამო ნაკვეთ(ებ)ი ან საძოვარი ან ადმინისტრაციულად ამ სოფლის დაქვემდებარებაში არსებული საძოვარი, რომლის ფარგლებშიც დაზღვეულია საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკებისაგან.

სადაზღვევო შემთხვევა - სადაზღვევო რისკის დადგომის შედეგად გამოწვეული დაზღვეული საქონლის სიკვდილი მხოლოდ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ბაგური კვება - ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის მიმართულება, როდესაც საქონელი წლის ნებისმიერ დროს და დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში მუდმივად იმყოფება შენობაში/ბაგაზე, დაბმულ ან ბარიერებით შემოსაზღვრულ მდგომარეობაში ან/და მისთვის განკუთვნილ შემოსაზღვრულ სივრცეში, სადაც ხდება მისი ფუნქციების შესრულება, კვება, გამრავლება, სუქება, მოვლა-პატრონობა.

საძოვრული კვება - მესაქონლეობის მიმართულება, როდესაც საქონელი წლისა და დღე-ღამის განსაზღვრულ დროს ატარებს ღია სივრცეში საძოვარზე - დღის პერიოდში საძოვარზე, ღამით - საქონლის სადგომში.

დაზღვევას დაქვემდებარებული საქონელი - სადაზღვევო განაცხადში, პოლისში დაფიქსირებული წლოვანების, სქესის, დანიშნულების და საიდენტიფიკაციო საშუალების, საყურის ნომრის, შესაბამისად გაცხადებული საქონელი.

დაზღვევის ლოკაციაში/დაზღვევის მოქმედების ტერიტორიაზე მობინადრე ბაგურ კვებაზე მყოფი ან საძოვრული მიმართულების ჯანმრთელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 8 (რვა) თვის ასაკიდან 8 (რვა) წლის ასაკამდე.

ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის შემთხვევაში მხოლოდ ვაქცინირებული საქონელი, რომელიც ვაქცინირებულია ვეტერინალური სტანდარტების შესაბამისად.

დაავადება - მხოლოდ ბაგურ კვებაზე მყოფი ვაქცინირებული საქონლის შემთხვევაში შემდეგი დაავადებები: ჯილეხი (Anthrax); ცოფი (RABIES); პასტერელიოზი Pasteurellosis (Haemorrhagic septicemia); ემკარი.

სარეწი - ნებისმიერი უძრავი ობიექტი ან მოძრავი ობიექტი, სადაც მზღვეველი, ჩვეულებრივ, კომერციულ საქმიანობას ახორციელებს;

დისტანციურად დადებული ხელშეკრულება - დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის დადება განხორციელდა მზღვეველსა და მომხმარებელს შორის მზღვეველის მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით და არ მოითხოვს მომხმარებლისა და მზღვეველის ფიზიკურ თანაყოფობას. ამასთანავე, ხელშეკრულება დისტანციურ ხელშეკრულებად არ მიიჩნევა, თუ მომხმარებელი და მზღვეველი ხელშეკრულების პირობებზე სარეწში შეთანხმდნენ და ხელშეკრულება დისტანციურად მხოლოდ ამის შემდეგ დაიდო.

სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება – დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მზღვეველსა და დამზღვევს შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მათ ფიზიკურ თანაყოფობას; ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სარეწში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დამზღვევმა ხელშეკრულების დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო მზღვეველისაგან სარეწის გარეთ მზღვეველისა და დამზღვევის ფიზიკური თანაყოფობისას.

საიდენტიფიკაციო საშუალება – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საიდენტიფიკაციო საყურე და მისი ნომერი, რომლის დადებასა და აღრიცხვას აწარმოებს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ან ცენტრალური მთავრობის ავტორიზებული ორგანოს შესაბამისი პირი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სადაზღვევო რისკები

1. წინამდებარე პოლისი ითვალისწინებს საქონლის სიკვდილით გამოწვეული ზარალის დაზღვევას მხოლოდ შემდეგი რისკებისაგან:

1.1 ხანძარი
1.2 მეხის დაცემა
1.3 წყალდიდობა
1.4 ქარიშხალი
1.5 მიწისძვრა
1.6 ტრანსპორტის დაჯახება (მხოლოდ საძოვრულ კვებაზე არსებული საქონლის შემთხვევაში)
1.7 სხვა საქონლის მიერ გამოწვეული სიკვდილი
1.8 თიაქარი (ჭიპის/უმბილიკალური თიაქარი, დიაფრაგმული ხვრელის თიაქარი/ჰიატალური ჰერნიაცია)
1.9 საქონლის სიკვდილი გამოწვეული გართულებული მშობიარობით
1.10 ტრავმული პერიკარდიტი (დაზღვევის მოქმედების პერიოდში საქონლის მიერ მეტალის ნატეხის, მათ შორის: მავთულის, ლურსმნის ან სხვა მეტალის საგნის, გადაყლაპვის შედეგად გულის პერიკარდიუმის (გულის პერანგის) ტრავმული დაზიანებისაგან გამოწვეული საქონლის დაცემა).
1.11 ტიმპანია (იწვევს სველი პარკოსნების ან ახალი ბალახის საკვებად გამოყენება)
1.12 შემთხვევითი დახრჩობა/გაგუდვა
1.13 სიმაღლიდან შემთხვევითი ვარდნის შედეგად მიყენებული ტრავმული დაზიანებების ან/და ჭრილობების მიერ გამოწვეული საქონლის სიკვდილი.
1.14 გარეული მხეცების მიერ გამოწვეული საქონლის სიკვდილი.
1.15 ქურდობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია დამნაშავე პირი.

2. სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაგური კვების განმარტების შესაბამისად დაზღვეული და ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის სიკვდილიანობის დაზღვევას მხოლოდ შემდეგი დაავადებებისაგან:

ა. ცოფი (RABIES)

ბ. ჯილეხი (Anthrax)

გ. პასტერელოზი Pasteurellosis (Haemorrhagic septicemia)

დ. ემკარი.

სადაზღვევო ანაზღაურების პირობები

1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველი ვალდებულია, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის დადგომის შედეგად დაზღვეული საქონლის სიკვდილის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.
2. ზარალის დარეგულირების პროცესში გასაფორმებელი დოკუმენტაციაა:
   ა) აქტი დაზღვეული საქონლის სიკვდილის შესახებ, რომელიც შედგება მზღვეველის მიერ შემუშავებული ფორმით;
   ბ) მზღვეველის მიერ მოთხოვნილი საქონლის ზარალის და მისი გამომწვევი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ: სადაზღვევო რისკების (ხანძარი, მეხის დაცემა, წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა, სხვა საქონლის მიერ გამოწვეული სიკვდილი, თიაქარი ჭიპის/უმბილიკალური თიაქარი, დიაფრაგმული ხვრელის თიაქარი/ჰიატალური ჰერნიაცია, საქონლის სიკვდილი გამოწვეული გართულებული მშობიარობით, ტრავმული პერიკარდიტი (დაზღვევის მოქმედების პერიოდში, საქონლის მიერ მეტალის ნატეხის, მათ შორის: მავთულის, ლურსმნის ან სხვა მეტალის საგნის, გადაყლაპვის შედეგად გულის პერიკარდიუმის (გულის პერანგის) ტრავმული დაზიანებისაგან გამოწვეული საქონლის დაცემა)), ტიმპანია, შემთხვევითი დახრჩობა/გაგუდვა, სიმაღლიდან შემთხვევითი ვარდნის შედეგად მიყენებული ტრავმული დაზიანებების ან/და ჭრილობების მიერ გამოწვეული საქონლის სიკვდილი, გარეული მხეცების მიერ გამოწვეული საქონლის სიკვდილი) დადგომის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტებია: სერტიფიცირებული ვეტერინარის დასკვნა ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ გაცემული დასკვნა ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს - გაცემული დასკვნა კონკრეტული საიდენტიფიკაციო საყურის ნომრის შესაბამისად დაზღვეული საქონლის სიკვდილის გამომწვევ მიზეზ-გარემოებებთან დაკავშირებით.
   სადაზღვევო რისკების - ტრანსპორტის დაჯახება და ქურდობის - შემთხვევებში წარმოსადგენი დოკუმენტებია: ცნობა საპატრულო პოლიციიდან საგზაო – სატრანსპორტო შემთხვევის თაობაზე. ქურდობის შემთხვევაში დამატებით წარსადგენია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დამნაშავე პირის ბრალეულობის დადგენის შესახებ, რომელშიც დაზარალებულს უნდა წარმოადგენდეს დამზღვევი. ბაგურ კვებაზე არსებული საქონლის შემთხვევაში დაზღვეული დაავადებების მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევაში დამატებით, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, წარმოსადგენია ვაქცინაციის განმახორციელებელი ვეტერინარის მიერ ხელმოწერილი განხორციელებული ვაქცინაციის ჩანაწერები.
   მზღვეველი უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს მკვდარი საქონლის ფოტოსურათი, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება საქონლის თავი, ყური და მასზედ დატანებული საქონლის საიდენტიფიკაციო საყურის ნომერი.
   გ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი, რომელიც შედგება მზღვეველის მიერ შემუშავებული ფორმით.

3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად საქონლის სიკვდილის მიზეზებისა და გარემოებების დადგენა მოხდება მზღვეველის მიერ დადგენილი წესით.

4. ანაზღაურებას ექვემდებარება წინამდებარე პოლისით დაზღვეული საქონლის სიკვდილის შემთხვევები იმ პირობით, რომ:
   ა. სადაზღვევო პოლისი უნდა იყოს ძალაში;
   ბ. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველის მიერ დანიშნული ვეტერინარი გამოიკვლევს და დაადასტურებს საქონლის სიკვდილის დადგომის ფაქტს, გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს.

განსაკუთრებული გამონაკლისები

სადაზღვევო პოლისი არ ფარავს დაზღვეული საქონლის სიკვდილის, ქურდობის ზიანს შემდეგ შემთხვევებში:

1. ფერმის ნებისმიერი კანონიერი ან უკანონო დაკავება, მასში შეჭრა ან მისი ჩამორთმევა;
2. საქონლის განადგურება სამთავრობო უწყების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი ბრძანების ან საკანონმდებლო აქტის მოთხოვნების შესაბამისად;
3. საქონლის დახოცვა მზღვეველის წინასწარი თანხმობის გარეშე;
4. ყველა სახის დაავადება, გარდა ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის შემდეგი დაავადებებისა: ჯილეხი (Anthrax); ცოფი (RABIES); პასტერელიოზი Pasteurellosis (Haemorrhagic septicemia); ემკარი;
5. დაზღვევამდე არსებული დაავადებების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობა;
6. ვაქცინაციის, დეჰელმენტიზაციის არათანმიმდევრული ან არასტაბილური განხორციელება, მათ შორის, დაზღვევა არ ფარავს ბაგურ კვებაზე მყოფი დაზღვეული საქონლის სიკვდილიანობას შემდეგ შემთხვევებში:
   6.1. საქონელი, რომელსაც არ გაუვლია საგაზაფხულო ვაქცინაცია ჯილეხზე (Anthrax);
   6.2 საქონელი, რომელსაც არ გაუვლია საგაზაფხულო და საშემოდგომო ვაქცინაცია ემკარის წინააღმდეგ;
   6.3 საქონელი, რომელსაც არ გაუვლია ყოველწლიური ვაქცინაცია ცოფის (RABIES) წინააღმდეგ;
   6.4. საქონელი, რომელსაც არ გაუვლია პასტელიოზის Pasteurellosis (Haemorrhagic septicemia) წინააღმდეგ ვაქცინაციები ექვს თვეში ერთხელ ორკვირიანი ინტერვალის დაცვით;
7. დაზღვევა არ ფარავს საქონლის სიკვდილს, რომელიც განპირობებულია ქირურგიული ოპერაციით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოპერაციას ატარებს ვეტერინარი ქირურგი მხოლოდ დაზღვეული საქონლის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით. ნებისმიერი სხვა ქირურგიული პროცედურის განსახორციელებლად საჭიროა მზღვეველის ნებართვა, შესაბამისად, არ იქნება უზრუნველყოფილი დაფარვა სიკვდილის შემთხვევაში;
8. არ იფარება ნაყოფის სიკვდილი;
9. დაზღვეული საქონლის სიკვდილი გამოწვეული ნებისმიერი სახის თანდაყოლილი ან მემკვიდრეობითი დეფექტებით არ დაიფარება;

10. დაზღვეული საქონლის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ფუნქციების ან მოვალეობების შესრულების უუნარობა ან შეუსაბამობა;
11. დაზღვევა არ ფარავს, საქონლის სიკვდილისა და მოპარვის გარდა, მისთვის მიყენებულ სხვა დაზიანებებს;
12. არ იფარება დაზღვეული საქონლის სიკვდილი ან მოპარვა, რომელიც გამოვლინდა პოლისის გაცემიდან პირველი 14 დღის განმავლობაში (სადაზღვევო რისკის ტრავმული პერიკარდიტის შემთხვევაში 28 დღე), ამასთან, ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის და ქვეყანაში ახლად იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში სადაზღვევო რისკები, რომლებიც გამოვლინდა პოლისის გაცემიდან პირველი 28 დღის განმავლობაში;
13. არ ანაზღაურდება დამზღვევის ან მისი წარმომადგენელის განზრახ ქმედება ან უხეში გაუფრთხილებლობა.

ასევე, დაზღვევით არ იფარება:

14. ნებისმიერი სახის იურიდიული პასუხისმგებლობა;
15. 8 (რვა) თვის ასაკს მიუღწეველი საქონლის სიკვდილით ან მოპარვით გამოწვეული ზარალი;
16. საქონლის, რომელსაც შეუსრულდა 8 წელი, სიკვდილით ან მოპარვით გამოწვეული ზარალი;
17. ქვეწარმავლებისაგან, ობობასნაირთა კლასის წარმომადგენლების, მწერების, მღრღნელების მიერ გამოწვეული დანაკარგები/სიკვდილიანობა;
18. საქონლის მკურნალობა პრეპარატებით, რომლებიც არ არის დანიშნული სერტიფიცირებული ვეტერინარის მიერ;
19. საქონლის გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარება ან ქურდობის ისეთი შემთხვევა, როდესაც არ არის დადგენილი დამნაშავე პირი წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით;
20. ზარალი - პოლისში დაფიქსირებული საქონლის მაიდენტიფიცირებელი საყურის მზღვეველისათვის წარუდგენლობის, საყურის ან საყურეების მოხსნის, დაზიანების, საყურის მოხსნისა ან დაზიანების მცდელობის შემთხვევებში;
21. დამზღვევის მიერ მის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ან გამოძალვის შედეგად საქონლის დათმობით გამოწვეული ზარალი;
22. საქონლის ტრანსპორტირება ან საქონლის ტრანსპორტირებისას გამოწვეული ზარალი;
23. თუკი განაცხადში არასწორი ინფორმაციაა შეტანილი, მათ შორის, არასწორი ინფორმაცია მესაქონლეობის ტიპის (ბაგური და საძოვრული მიმართულების) შესახებ. მსგავსი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან, ამასთან, მზღვეველს არ წარმოეშობა სადაზღვევო პრემიის დაბრუნების ვალდებულება;
24. ასევე, გამონაკლისია გაუჩინარება და გარეული მხეცების მიერ საქონლის გატაცების ან დაგლეჯის/შეჭმის შემთხვევა, როდესაც საქონლის ყური და მასზედ დატანებული საიდენტიფიკაციო საშუალება/ნომერი არ იქნება წარდგენილი მზღვეველისათვის;
25. ასევე, მზღვეველის მიერ არ გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება, თუ დამზღვევი ან მისი პირველი რიგის მემკვიდრე (მეუღლე, მშობელი, შვილი) არ წარმოადგენს დაზღვეული საქონლის რეგისტრირებულ მფლობელს. ამასთან, თუ საქონელი ეკუთვნის დამზღვევის პირველი რიგის მემკვიდრეს, სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევი ვალდებულია წარმოადგინოს ასეთი პირის თანხმობა სადაზღვევო ანაზღაურების დამზღვევისათვის გადახდის თაობაზე ან პირადად მიიღოს ასეთი ანაზღაურება.

საერთო გამონაკლისები

სადაზღვევო პოლისი არ ფარავს დაზღვეული საქონლის სიკვდილს, ზიანს შემდეგ შემთხვევებში:

1. ომის, დაპყრობის, უცხოელი მტრის ქმედების, საომარი მოქმედებების (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომის, აჯანყების, რევოლუციის, ამბოხების, ბუნტის, გაფიცვის, ლოკაუტის, სამოქალაქო მღელვარების, ტერორიზმის ან მისი ნებისმიერი გამოვლენის, სამხედრო ან უზურპირებული ხელისუფლების, ბოროტმოქმედთა ან ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით ან მასთან დაკავშირებულ პირებთა ჯგუფის, შეთქმულების, დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების ან ნებისმიერი საჯარო ხელისუფლების ბრძანების საფუძველზე განადგურების ან დაზიანების, კონფისკაციის ან რეკვიზიციის ნებისმიერ შედეგზე;
2. ბირთვული რეაქციის, ბირთვული გამოსხივების ან რადიოაქტიური დაბინძურების ნებისმიერ შედეგზე.

განსაკუთრებული პირობები და ვალდებულებები

1. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო განაცხადში წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ფერმების ან ადგილების შესახებ, სადაც მას მოთავსებული ჰყავს საქონელი.
2. დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო განაცხადში წარმოადგინოს ინფორმაცია საქონლის ასაკის, სქესის, დანიშნულების შესახებ.
   დამზღვევი ვალდებულია განაცხადში წარმოადგინოს უტყუარი ინფორმაცია მესაქონლეობის მიმართულების/ტიპის შესახებ, კერძოდ, ბაგურ კვებაზე და საძოვრული მიმართულების საქონლის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს განაცხადის შესაბამის ველში. აღნიშნული გარემოებების შესახებ მზღვეველისათვის არასწორი/არაზუსტი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ყველა ვალდებულებისაგან.
3. დაზღვევას დაქვემდებარებული საქონელი:
   ა. ბაგურ კვებაზე მყოფი ან საძოვრული მიმართულების ჯანმრთელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 8 (რვა) თვის ასაკიდან 8 (რვა) წლის ასაკამდე.
   ბაგურ კვებაზე მყოფი საქონლის შემთხვევაში მხოლოდ ვაქცინირებული საქონელი, რომელიც ვაქცინირებულია ვეტერინარული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული წინაპირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ყველა ვალდებულებისაგან.
   ბ. საქონელი, რომელიც დაზღვევის დაწყებამდე იდენტიფიცირებულია საყურის და მასზე დატანებული საიდენტიფიკაციო ნომრის მეშვეობით.
4. დამზღვევი ვალდებულია სათანადოდ მოუაროს და იზრუნოს დაზღვეულ საქონელზე.
5. დამზღვევი ვალდებულია:
   5.1. საქონლის სიკვდილის ან იძულებითი კვლის შემთხვევაში უზრუნველყოს საქონლის და მისი მაიდენტიფიცირებელი საშუალების, საყურის, და მისი ნომრის უცვლელ მდგომარეობაში შენარჩუნება მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ან შესაბამისი ინსტრუქციის მიღებამდე.

5.2. უზრუნველყოს საქონლის იმ მდგომარეობაში შენარჩუნება, რა მდგომარეობაშიც იყო სადაზღვევო რისკის დადგომის მომენტში, თუ მზღვეველის წარმომადგენლებისაგან სხვაგვარი ინსტრუქცია არ არის გაცემული.

5.3. არ მოახდინოს დაღუპული საქონლის დამარხვა მზღვეველის ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაავადებების გავრცელების საფრთხეს წარმოადგენს საქონლის დაუმარხაობა და არსებობს ვეტერინარის დასაბუთებული მოთხოვნა საქონლის დამარხვასთან დაკავშირებით. ვეტერინარის მოთხოვნა უნდა იყოს წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა წარედგინოს მზღვეველს.

5.4. საქონლის იძულებითი დაკვლის შემთხვევაში წარმოადგინოს სერტიფიცირებული ვეტერინარის მიერ ხელმოწერილი და გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება საქონლის იძულებითი დაკვლის დასაბუთებული გარემოებები, იძულებითი დაკვლის აუცილებლობის განმაპირობებელი მიზეზები და გადაუდებელი აუცილებლობის დამადასტურებელი გარემოებები.

6. ახლად იმპორტირებული და ბაგურ კვებაზე მყოფი საქონელი უნდა იყოს ფერმაში, პერიოდულად უნდა ხდებოდეს მათი მონიტორინგი და ვაქცინაცია ლიცენზირებული ვეტერინარის მიერ დადგენილ ვადებში.

7. დამზღვევი ან მისი პირველი რიგის მემკვიდრე (მეუღლე, მშობელი, შვილი) უნდა იყოს საქონლის რეგისტრირებული მფლობელი (თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული). საქონლის გასხვისების შემდეგ პოლისის მოქმედება შეწყდება.

8. ქურდობის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია:

ა. ქურდობის შესახებ დაუყოვნებლივ განუცხადოს სამართალდამცავ ორგანოებს და მზღვეველს შემთხვევიდან არაუგვიანეს 24 საათში.

ბ. დამზღვევი ვალდებულია შეასრულოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიცემული ყველა რეკომენდაცია.

9. სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში:

(I) დამზღვევი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში დაუკავშირდეს მზღვეველს ცხელ ხაზზე შემდეგ ნომერზე (+995 32) 2 444 999, ხოლო სამი სამუშაო დღის განმავლობაში მიაწოდოს წერილობით განცხადება და აცნობოს ნებისმიერი დანაკარგის ან პოტენციური ზარალის შემთხვევის და დანაკარგის დროის და თარიღის, მიზეზის და დაზიანებული დაზღვეული საქონლის და მისი საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ.

(II) დაავადებების და უბედური შემთხვევებისას დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაიაროს კონსულტაცია ვეტერინართან და, მზღვეველის მოთხოვნით, წარადგინოს ვეტერინარული დასკვნა.

(III) დამზღვევს შეუძლია უკიდურეს შემთხვევაში დაკლას საქონელი მხოლოდ მზღვეველის თანხმობით. იმ შემთხვევაში, თუ ვეტერინარულ დასკვნაში მიეთითება, რომ აუცილებელია საქონლის დაკვლა და არ არის დრო მზღვეველის თანხმობის მოსაპოვებლად, ასეთი გადაწყვეტილება არ ჩაითვლება წინამდებარე პირობების დარღვევად.

(IV) დამზღვევი ვალდებულია შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები დანაკარგის პრევენციასთან და მინიმუმამდე დაყვანასთან დაკავშირებით მზღვეველის ინსტრუქციების შესაბამისად იმ პირობით, თუ ასეთი ინსტრუქციები არ ეწინააღმდეგება ოფიციალურ ბრძანებებს. პრევენციასა და დანაკარგის შემცირებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები დაეკისრება დამზღვევს. ეს ეხება ვეტერინარული შემოწმების და მკურნალობის ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მზღვეველი მოითხოვს სპეციალურ მკურნალობას, რაც სცილდება დამკვიდრებული პრაქტიკის ფარგლებს.

(V) ზარალის შემთხვევაში დამზღვევი ვალდებულია მისცეს მზღვეველს ან მის წარმომადგენელს შესაძლებლობა დაადგინოს ზარალის მიზეზი და მოცულობა.

(VI) დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს მზღვეველი ყველა საჭირო ინფორმაციით სადაზღვევო რისკებისაგან წარმოქმნილ ზარალთან დაკავშირებით, ასევე, სახელმწიფო ფონდებიდან მიღებული სარგებლის ან გადახდის მოცულობის შესახებ.
(VII) დამზღვევი ვალდებულია აცნობოს პოლიციას და მზღვეველს დაზღვეული საქონლის ქურდობის შესახებ.
(VIII) იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი დაიბრუნებს საქონელს ან მისთვის ცნობილი გახდება მათი ადგილსამყოფელის ან დამნაშავე პირის ან მპოვნელის ვინაობის შესახებ, აღნიშნულზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მზღვეველს.
(IX) დამზღვევმა არ უნდა გაასხვისოს საქონელი მზღვეველის წინასწარი თანხმობის გარეშე.
იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ არის დაზღვეული საქონლის რეგისტრირებული მფლობელი და ასეთი მფლობელი დამზღვევის პირველი რიგის მემკვიდრეა (მეუღლე, მშობელი, შვილი), დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი პირის თანხმობა სადაზღვევო ანაზღაურების დამზღვევისათვის გადახდის თაობაზე ან განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების ასეთი პირისათვის გადახდის შესახებ.

თუ დამზღვევი არ შეასრულებს რომელიმე ზემოხსენებულ ვალდებულებას, მზღვეველი გათავისუფლდება ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან ასეთ დაზღვეულ საქონელთან მიმართებით.

ზოგადი პირობები

1. **არასწორი წარმოდგენა, არასწორი აღწერა და გაუმჟღავნებლობა**
   სადაზღვევო განაცხადში ან მზღვეველის წარმომადგენლის/ექსპერტის მიერ დაზღვეული საქონლის სიკვდილის შესახებ აქტის შედგენის მომენტში დამზღვევის მიერ ინფორმაციის არასწორი წარმოდგენა, არასწორი აღწერა და გაუმჟღავნებლობა გამოიწვევს პოლისის გაუქმებას და მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, ამასთან, მზღვეველს სადაზღვევო პრემიის დაბრუნების ვალდებულება დამზღვევისათვის არ წარმოეშობა.
2. **ზარალის პრევენცია**
   (I) დამზღვევი ვალდებულია ყველა გონივრული და გამაფრთხილებელი ზომა მიიღოს დაზღვეული ქონების/ საქონლის ზარალის ან ზიანის პრევენციის მიზნით.
   (II) ბაგურ კვებაზე არსებული საქონლის შემთხვევაში დამზღვევი ან ფერმის/ბაგის მომსახურე ვეტერინარი ვალდებულია აწარმოოს ჩანაწერები განხორციელებული ვაქცინაციის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნება ვაქცინაციის განმახორციელებელი ვეტერინარის მიერ.
3. **შენობა-ნაგებობებში შესვლა**
   დამზღვევი ვალდებულია ნება დართოს მზღვეველს ნებისმიერ დროს შეძლოს დაზღვეული საქონლის ნახვა. საქონლის დათვალიერების შესახებ მზღვეველი დამზღვევს წინასწარ გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას.
4. **გაუქმება**
   4.1 წინამდებარე სადაზღვევო პოლისი მოტივირებული მიზეზის არსებობისას შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დადების თვის

ბოლო კალენდარული თარიღით. დაზღვევის გაუქმებისას მზღვეველს უფლება აქვს მიიღოს გამომუშავებული სადაზღვევო პრემია სრულად.

4.2 დამზღვევი უფლებამოსილია, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე: დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

4.2.1. დამზღვევი არ არის უფლებამოსილი, წინამდებარე პირობების 4.2 პუნქტის საფუძველზე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და, შესაბამისად, ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება :

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელის მოქმედების ვადა უარის თქმის პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.

4.3 ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები:

4.3.1. დაზღვევის პირობების 4.2 პუნქტის საფუძველზე, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.

4.3.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია:

ა) დამზღვევს გადახდილი პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნოს სრულად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. მზღვეველი ვალდებული არ არის, დამზღვევს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის მიერ არასტანდარტული ან მზღვეველის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან;

ბ) თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომელიც დამზღვევმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამზღვევი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

5. დავა

(I) მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(II) წინამდებარე დაზღვევასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „დაზღვევის მედიაციის“ მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

(III) თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. **სადაზღვევო პოლისის ინტერპრეტაცია**

   წინამდებარე პირობები, სადაზღვევო პოლისი და განაცხადი განიხილება ერთად, როგორც ერთი ხელშეკრულება, და ნებისმიერი სიტყვის ან გამონათქვამის მნიშვნელობა განიმარტება ანალოგიურად კონტრაქტის ნებისმიერ ნაწილში.

7. **იურისდიქცია**

   წინამდებარე დაზღვევა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. **შეტყობინება**

   თითოეული შეტყობინება და სხვა მიმოწერა მზღვეველთან, როგორც ამას მოითხოვს სადაზღვევო პოლისის პირობები, წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

9. **სუბროგაცია**

   (I) მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების სრული ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტები, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: სადაზღვევო შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევაში ბრალეული პირის ვინაობა, აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

   (II) დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე, უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო, თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.